ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 12

(კონსოლიდირებული ტენდერი con1900000182)

დ.სტეფანწმინდა **16 თებერვალი 2021 წ.**

ერთი მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია, ს.კ241499473 ,მერის ალექსანდრე ზაგაშვილის სახით

მისამართი დ. სტეფანწმინდა ,ალ. ყაზბეგის ქ.N2,ტელ.555 23 20 23

და
მეორე მხრივ -მიმწოდებელი: შპს „ჯი-თი მოტორსი"; ს/კ 206276340 დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით,
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #155. 0322 59 50 00
დირექტორი: თემურ უსტიაშვილი.
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22, მიმღების ანგარიში GE64TB1136936020100001, მიმღების სახელი შპს „ჯი თი მოტორს".

ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ კონსოლიდირებული ტენდერის CON1900000182, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 202 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", აგრეთვე „2019 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის № 2299 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1 ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების (Ford Ranger) ტექნიკური მომსახურება (CPV კოდი: 50112000) (შემდგომში მომსახურება) რომელიც განხორციელდება: - წინამდებარე ხელშეკრულების; - კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის; (CON1900000182);- ზემოთაღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებასთან ერთად მიმწოდებლის მიერ ატვირთული თანმდევი, საგარანტიო მომსახურების ცხრილის შესაბამისად, ცხრილი დანართი #1-ის სახით დაერთვის ამ ხელშეკრულებას და თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2400(ორი ათას ოთხასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნდაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შეაბამისი საგადახადადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე ზაგაშვილი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილებია:

- ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი #163 (0322 59 50 00)
- ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა#10/12
- ქ. ბათუმი, სულხან საბა ორბელიანის ქ.#7 (599 514 077)

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების დანართ #1-ში მითითებული პერიოდულობით, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებმაოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.2.1. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას დანართ #2-ში მოცემული სავალდებულო სერვისების პერიოდულობა და სატენდერო წინადადებასთან ერთად ატვირთული საგარანტიო მომსახურების შესახებ დანართის პირობები.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება, ჯეროვნად კეთილსინდისირეად და სრული მოცულობით.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია ავტომანქანაზე მომსახურება განახორციელოს ორიგინალი ნაწილებით.
6.6 მიმწოდებელი ვალდებულია გეგმიური (დანართი #2) მომსახურების ჩატარება უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.7 მიმწოდებელი უფლებამოსილია არაგეგმიური საგარანტიო მომსახურება გაწიოს ქ. თბილისში. აღნიშნულ შემთხვევაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.8 საგარანტიო პერიოდში, ფლობის ფარგლებში, სხვა თანმდევი საგარანტიო (გეგმიური) მომსახურების შეცვლა ან/და მომსახურება რომელიც არ არის მითითებული დანართი #2-ში გათვალისწინებული მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს უსასყიდლოდ. (გარდა იმ სერვისებისა, რომლებიც არ არის სავალდებულოდ რეგლამენტირებული, მაგრამ შესაძლოა ექსპლუატაციის პროცესში საჭირო გახდეს მათი გამოცვლა/შეკეთება: მაგალითად საბურავის გამოცვლა; ნათურების გამოცვლა; ანტიფრიზის/ფრეონის დამატება; საყრდენი დისკის გამოცვლა; მინის საწმენდი ე.წ „ჩოთქის გამოცვლა“ და ა,შ).

7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულებების შესაბამისი ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.
7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ თავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობებისა და ერთეულის ფასის ცვლილება დაუშვებელია თუ უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კდოექსის 398-ე მუხლთ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 ხელშერკულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებმაოსილია ცალმხრივად მიიღოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.
8.4 მხარე ვალდებულია 8.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნნიკაციის ელექტრონული საშალბების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.5 ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.დაუძლეველი ძალა

მხარეები თაივსუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღNიშნულის არსეობიბს შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებუელების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11..ხელშერკულების მოქმედების ვადა

ხელშკერულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	**შ.პ.ს „ჯი თი მოტორსი“**
მერი ალექსანდრე ზაგაშვილი	**დირექტორი თემურ უსტიაშვილი**
ხელმოწერა	**ხელმოწერა**
Kazbegi Municipality Digitally signed by Kazbegi Municipality Date: 2021.02.16 12:44:15 +04'00'	JI-TI MOTORS LLC Digitally signed by JI-TI MOTORS LLC Date: 2021.02.16 13:00:56 +04'00'